დანართი #1

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ზ ე საექპედიტორო მომსახურების შესახებ

სატრანსპორტო ექსპედიციის გენერალური პირობები:

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - **„გენერალური პირობები“**) სავალდებულოდ გამოიყენება ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის (შემდგომში - **ტვირთგანმკარგავი** ან **შემკვეთი**) რომლებიც **ტვირთის (საქონლის)** გადაზიდვის ორგანიზების ან შუალოდ გადაზიდვის (შემდგომში - **„სატრანსპორტო ექსპედიციის მომსახურება“)** განხორციელების მიზნით, შევლენ სამართალ ურთიერთობაში შპს „MSZ Georgia” (ს/კ 445403590) -თან. (შემდგომში - **„ექსპედიტორი“)**

ტვირთის გადაზიდვის და/ან გადაზიდვის ორგანიზებასთან დაკავშირებულ მომსახურების გაწევაზე, სატრანსპორტო **ექსპედიტორსა** და **შემკვეთს (ტვირთგანმკარგავს)** შორის სამართალ ურთიერთობა, რეგულირდება წინამდებარე **გენერალური პირობებით, შეკვეთა / დავალებით** და ექსპედიტორის **„საშინაო კონოსამენტი“** -ს (HBL) პირობებით.

თუ **შეკვეთის /დავალების** შეტყობინებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულებაში ქვემოთ მოცემულ ტერმინებს, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა.

ტერმინთა განმარტება

სატრანსპორტო ექსპედიციის მომსახურება (სატრანსპორტო ექსპედიცია) - მომსახურება, რომელსაც ახორციელებს **ექსპედიტორი** საკუთარი ან შემკვეთის სახელით, წინამდებარე „გენერელური პირობების“ საფუძველზე, შემკვეთის დავალებით და ხარჯით, ტვირთის (საქონლის) დანიშნულებისამებრ გადაზიდვასა და გადაზიდვის ორგანიზებასთან დაკავშირებით. ასეთი მომსახურება გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება **შემდეგით:** ტვირთის მიღება, შენახვა, დამუშავება, კონსოლიდაცია და დაყოფა, შეფუთვა, ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, გადაზიდვის ორგანიზება და/ან უშუალოდ გადაზიდვა. ასევე ყველა ჩამოთვლილთან დაკავშირებული, დამხმარე და საკონსულტაციო მომსახურეობა, რაც გულისხმობს და ასევე არ შემოიფარგლება **შემდეგით:** გადაზიდვის მარშრუტის და ტრანსპორტის შერჩევა, საბაჟო და საგადასახადო საკითხების გადაწყვეტა, ტვირთის საბაჟო გაფორმება დაზღვევა, ტვირთის შემოწმება/ინსპექტირება, გადასახადების გადახდევინება და/ან უზრუნველყოფა, ტვირთის გადაზიდასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის/უფლების მიღება, ასევე საქონელგამკარგავი და გადაზიდვის დოკუმენტის (საშინაო კონოსამენტის) მომზადება და გაფორმება.

ექსპედიტორი: შპს „MSZ Georgia” (ს/კ 445403590) იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.78 ბინა 10 . კონკრეტული შეკვეთის მიზნებისათვის, **ექსპედიტორი** შესაძლებელია ასრულებდეს, როგორც გადამზიდავის ანუ **„პრინციპალი ექსპედიტორის“** , ისე გადაზიდვის ორგანიზატორი ანუ **„არაპრინციპალი/აგენტი - ექსპედიტორის“** ფუნქციებს;

შემკვეთი / ტვირთგანმკარგავი: შეკვეთის /დავალების შეტყობინებაში მითითებული ტვირთის მესაკუთრე და/ან **ტვირთგანმკარგავი,** რომლის დავალებითაც ექსპედიტორი ახდენს ამ ტვირთის გადაზიდვის ორგანიზებას და ან გადაზიდვას, **შეკვეთა/დავალების** შეტყობინებაში მითითებული

პირობებით;

შეკვეთა/დავალება - წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემკვეთის მიერ ექსპედიტორისათვის გაკეთებული წერილობითი დავალება, რომლითაც შეიცავს ინფორმაციას და ინსტრუქციებს, კონკრეტული ტვირთის გადაზიდვის/გადაზიდვის ორგანიზების თაობაზე. მასში მიეთითება ის ინფორმაცია, რაც აუცილებელია ტვირთის უსაფრთხოდ და უდანაკარგოდ ტრანსპორტირებისათვის. ასევე ჩატვირთვის და დანიშნულების ადგილი, ტრანსპორტირების დრო, ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურება, ინფორმაცია ტვირთის მიმღების შესახებ, ტრანსპორტირების სპეციალური რეკომენდაციები/მოთხოვნები, ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია რაც, შემკვეთის შეხედულებით აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის ჯეროვნად განხორციელების მიზნებისათვის.

წერილობითი დოკუმენტი – კონკრეტული დავალების შესრულების პროცესში, მხარეთა შორის, **შეკვეთა /დავალება-** ში მითითებულ რეკვიზიტებზე/რეკვიზიტებიდან, ელექტრონული, ოპტიკური ან ანალოგური საშუალებებით გენერირებული, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული ნებისმიერი წერილობითი ინფორმაცია: ტექსტი; სურათი, ცხრილი. ასევე, იურიდიულ მისამართზე გაგზავნილი წერილი, სატელეფონო შეტყობინებით: (WhatsApp / Messenger -ით მიღებული/გაგზავნილი ჩატი) ტელექსი ან სხვა ნებისმიერი ელექტრონული სახით მიღებული /გადაცემული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია წასაკითხად/გასაცნობად და გამოყენებადია ინფორმირების მიზნებისათვის.

ექსპედიტორის **„საშინაო კონოსამენტით“** (HBL) - **ექსპედიტორის** მიერ შემუშავებული და/ან სსიპ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის[1] მიერ რეკომენდირებული ფორმის, **მულტიმოდალური გადაზიდვის ზედნადები / „საშინაო“ კონოსამენტი . [2].**

ტვირთი – ნებისმიერი ქონება და საკუთრება, ასევე სადგამები (Поддоны) ან მსგავსი ტრანსპორტირების/შეფუთვის საშუალებები, რომელიც არ ეკუთვნის ექსპედიტორს;

სახიფათო ტვირთი – ტვირთი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ოფიციალურად კლასიფიცირებულია როგორც სახიფათო ტვირთები, (ADR ტვირთები 9 კლასი) ასევე ტვირთი, რომელიც ტრანსპორტირების პროცესში შეიძლება გახდეს სახიფათო: აალებადი, რადიაქტიული ან გარემოსათვის ზიანის მიმყენებელი.

ტვირთის მიმღები - გულისხმობს შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს, რომელთაც უნდა მიეწოდოს ტვირთი. ტვირთის მიმღები შესაძლებელია იყოს თავად **შემკვეთი.**

გადამზიდავი - ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომელიც ასეთად არის იდენტიფიცირებული **შემკვეთის** ტვირთზე გაფორმებულ სატრანსპორტო დოკუმენტში: (ზედდებული /კონოსამენტი), რომელიც ფაქტობრივად ახორციელებს ტვირთის გადაზიდვას საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით **(ფაქტობრივი გადამზიდავი**), ან პირი რომელიც იღებს პასუხისგებლობას ტვირთზე, როგორც **გადამზიდავი,** პირდაპირი ან ნაგულისხმევი თანხმობით **(ხელშეკრულებით გადამხიდავი).**

[1] https://gcci.ge/ka/service/pro-forma-kontraktebi-22
[2] https://gcci.ge/files/services/213831577142642.pdf

მესამე პირი - ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც არ არის ამ ხელშეკრულების მხარე.

დამხმარე - წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებულ ცალკეულ მომსახურეობათა შესასრულებლად, ექსპედიტორის მიერ მოწვეული პირები, რომლებიც დავალებებს იღებენ ექსპედიტორისაგან.

კონტეინერი - **"უსაფრთხო კონტეინერების შესახებ"** საერთაშორისო კონვენციით 02/12/1972წ. და **„კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენციით"** 02/12/1972წ. გათვალისწინებული ტვირთის გადასაზიდი სატვირთო მოდული,

FIATA-ს წესები - ექსპედიტორთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIATA) მიღებული: „სატრანსპორტო საექსპედიციო საქმიანობის FIATA-ს ტიპური წესები".2019წ. რედაქცია[3].

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე **„გენერალური პირობები"** -თ დადგენილი წესით და პირობებით, ექსპედიტორი უზრუნველყოფს შემკვეთის ტვირთის გადაზიდვასა და გადაზიდვის ორგანიზებასთან დაკავშირებულ სასყიდლიან მომსახურებას, თავის მხრივ შემკვეთი უზრუნველყოფს ექსპედიტორისათვის შეთანხმებული პროვიზიის და დავალებით გათვალისწინებული სხვა მომსახურების ღირებულების, გადაზიდვის ღირებულების, ასევე შემკვეთის მითითებით და/ან მისი მიზეზით წარმოქმნილი, ექპსედიტორის სხვა ხარჯების გადახდას.

1.2. „გენერალური პირობები" ფარგლებში გასაწევი/გაწეული საექსპედიციო მომსახურების სახე და მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული **შეკვეთა /დავალების** საფუძველზე, რომელსაც ავსებს და ხელმოწერით ადასტურებს **შემკვეთი**

1.3. „გენერალური პირობები"-ს მიზნებისათვის, საექსპედიციო მომსახურება არ შემოიფარგლება, „არაპრინციპალი/აგენტი ექსპედიტორის", ფუნქციებით. ექსპედიტორმა, საკუთარი შეხედულებისამებრ შესაძლებელია განახორციელოს ტვირთის ფაქტიური ან ხელშეკრულებისმიერი გადაზიდვა, ასეთ შემთხვევაში მას დამატებით დაეკისრება გადამზიდავის/ **„პრინციპალი ექსპედიტორის",** უფლება-მოვალეობანი. გადამზიდავი- ექპსედიტორის პასუხისმგებლობა დასტურდება, ექსპედიტორის მიერ გამოცემული **„მულტიმოდალური გადაზიდვის ზედნადები / საშინაო კონოსამენტი"**-თ, რომელშიც იგი იდენტიფიცირებულია, როგორც **გადამზიდავი.**

2. ექსპედიტორი ვალდებულია:

2.1. ექსპედიტორი იღებს ვალდებულებას, თავისი ან შემკვეთის სახელით და შემკვეთის ხარჯზე, ჯეროვნად განახორციელოს **შეკვეთა /დავალების** ფორმაში მითითებული ტვირთის გადაზიდვასა და გადაზიდვის ორგანიზებასთან დაკავშირებული მოქმედებები, ხელშეკრულების პირობებისა და ამ ხელშეკრულებისადმი გამოსაყენებელი სამართლის შესაბამისად.

[3] https://fiata.org/n/model-rules-on-freight-forwarding-services-update/

2.2. ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები, მათ შორის დამხმარეები, გასცეს მათზე საჭირო დავალებები, მოახდინოს გაცემული დავალებების შესრულების კონტროლი, დაიცვას შემკვეთის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ექსპედიტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ შემკვეთის დავალებით მოქმედი ექსპედიტორის მიერ განხორციელებული მოქმედებები, იყო დავალების ჯეროვნად შესრულების მიმართ გონივრული, ობიექტური და ადეკვატური.

2.3. კონკრეტული დავალების მიღების შემდგომ, ექსპედიტორი ვალდებულია:

2.3.1. მომსახურების დაწყებამდე მიაწოდოს შემკვეთს, მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გასაწევი მომსახურეობების შესახებ, ასევე ტვირთის გადაზიდვის და/ან გადაზიდვის ორგანიზებასთან დაკავშირებით, მომსახურეობის სავარაუდო ღირებულების ჩათვლით.

2.3.2. ტვირთის ტრანსპორტირების დაწყების შემდგომ, გონივრული პერიოდულობით, ასევე ყველა განსაკუთრებულ შემთხვევაში და შემკვეთს მოთხოვნით, მიაწოდოს მას ცნობები გადაზიდვის მიმდინარეობის და იმ განსაკუთრებულ შემთხვევათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ნეგატიური გავლენა მოახდინონ გადაზიდვის პროცესზე და/ან ტვირთზე. გადაზიდვის დასრულების და ტვირთის მიმღებზე ჩაბარების შემდგომ კი ჩააბაროს მას ანგარიში.

2.4.2. შემკვეთის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში:

2.4.2.1. დააზუსტოს მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, მათ შორის ტვირთის გადაზიდვის და დამატებით მოთხოვნილი მომსახურეობების ფასი, სხვადასხვა მოსაკრებლები და მათი განაკვეთები, რომელთა გადახდა აუცილებელია კონკრეტული გადაზიდვის ფარგლებში.

2.4.2.2. გაუწიოს შემკვეთს კონსულტაციები გადაზიდვის ეფექტურობის, ლოგისტიკური სქემების და რაციონალური მარშრუტების შერჩევის, ტვირთის შეფუთვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის და ზოგადად, გადაზიდვის ხარჯების შემცირების სხვა საკითხებზე, რომელთა განხორციელებაც გონივრულად არის შესაძლებელი კონკრეტული დავალების ფარგლებში.

3. ექსპედიტორი უფლებამოსილია:

3.1. „გენერალური პირობები“ -თ დადგენილი ოდენობითა და წესით, მოითხოვოს/მიიღოს **შეკვეთით/დავალებით** გათვალისწინებული სამუშაოს ანაზღაურება (პროვიზია). ასევე სხვა, დამატებითი ხარჯების კომპენსირება, რომელიც წარმოიშვა **შემკვეთის** მიზეზით, მათ შორის: ტვირთთან და გადაზიდვასთან დაკავშირებით ექსპედიტორზე მიწოდებული დავალების შეცვლით, არასწორი და/ან არასრული დავალებით, **ტვირთის მიმღების** მიერ ტვირთის არ მიღებით და/ან ექსპედიტორისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზით.

3.2. მოითხოვოს/მიიღოს, დავალების შესრულების პროცესში, ტვირთთან და გადაზიდვის უდანაკარგოდ დასრულებასთან დაკავშირებით, მის მიერ ფაქტობრივად გაწეული აუცილებელი დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

3.3. კონკრეტული დავალებით გათვალისწინებული გადაზიდვის ორგანიზების და/ან გადაზიდვის მიზნით, მოიწვიოს **დამხმარე** პირები, მათი კეთილსინდისიერად შერჩევის პრინციპის დაცვით.

3.4. მიიღოს სრული და გამოკვეთილი ინფორმაცია დავალების და ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მათი დაზუსტება, „გენერალური პირობები“ -ს მე-6 მუხლით დადგენილ ფარგლებში.

3.5. ისარგებლოს დამდგარ ზიანში საკუთარი პასუხისმგებლობის გამორიცხვის და/ ან შეზღუდვის წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია **„გენერალური პირობებში“** ინკორპორირებული FIATA- ს წესებით.

3.6. **შემკვეთი**-სადმი მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, განაცხადოს მფლობელობითი გირავნობა შემკვეთის ნებისმიერ ტვირთზე და/ან სატრანსპორტო დოკუმენტებზე, რომელიც იმყოფება ექსპედიტორის განკარგულებაში და/ან შეაჩეროს ტვირთის მიმღებზე ჩაბარება, რაც არ ჩაითვლება ექსპედიტორის ვალდებულების დარღვევად.

3.7. თუ დავალება არ შეესაბამება მე-6 მუხლის პირობებს, ექსპედიტორი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ:

– უარი თქვას ტვირთის მიღებაზე,

– დააბრუნოს მიღებული ტვირთი, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების კომპენსაციის პირობით;

– გაგზავნოს, გადაზიდოს ან დაასაწყობოს ტვირთი შემკვეთისათვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და დაარიცხოს მას შენახვის გონივრული საზღაური, თუ ტვირთის უსაფრთხოდ შენახვა დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული;

3.8. ტვირთი, რომლის საფრთხე შემცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ადგილას გადმოიტვირთოს/განცალკევდეს დანარჩენი ტვირთებისგან, ჩაბარებული იქნას შესანახად, განადგურდეს ან გაუვნებელდეს შემკვეთის ხარჯზე, რაც არ ჩაითვლება ექსპედიტორის ვალდებულების დარღვევად და არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.

3.9. დამოუკიდებლად შეარჩიოს ტვირთის დამუშავების პროცედურა, გადაზიდვის საშუალება, მეთოდი, მარშრუტი და გადამზიდავი-ტვირთის ტრანსპორტირების და დანიშნულებისამებრ მიწოდების განსახორციელებლად, თუ შემკვეთისგან არ აქვს მიღებული წერილობითი ინსტრუქცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

4. შემკვეთი ვალდებულია:

4.1. წერილობითი დავალების ფორმით მიაწოდოს ექსპედიტორს სრული ინფორმაცია ტვირთის ხასიათისა და კონკრეტული გადაზიდვის შესახებ. ასევე უკვე წარდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ხელშეკრულების მე-6 მუხლით დადგენილი წესით,

4.2. მისცეს ექსპედიტორს დაზუსტებული და გამოკვეთილი მითითებები, რაც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად. ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსით

დადგენილ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან, ექსპორტ/იმპორტის პროცედურებთან, და სხვა მოქმედებების შესრულებასთან დაკავშირებით.

4.3. გადასცეს ექსპედიტორს ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია, კონკრეტული დავალების ჯეროვნად შესრულების მიზნით, გადაზიდვასთან და/ან ტვირთთან დაკავშირებული რისკების შესაფასებლად,

4.4. გადაიხადოს **შეკვეთა/დავალების** საფუძველზე გაწეული მომსახურეობის საზღაური (**პროვიზია).** ასევე დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ის ხარჯი, რომელთა შესახებაც **შემკვეთი** წინასწარ იყო ინფორმირებული და/ან **„გენერალური პირობების“ მე-8 მუხლით** დადგენილი, **შეკვეთა/დავალების** შესრულების პროცესში, ტვირთის უდანაკარგოდ გადაზიდვის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა საჭირო ხარჯი (**დამატებითი ხარჯი)**

4.5. აუნაზღაუროს ექსპედიტორს ტვირთის დაბრუნების; შენახვის და/ან უტლიზაციის ხარჯები, იმ შემთხვევაში თუ, ტვირთის მიმღები უარს განაცხადებს მისთვის განკუთვნილი ტვირთის მიღებაზე, ან თუ ტვირთის ჩაბარება მიმღებზე შეუძლებელია ექსპედიტორისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.

4.6. უზრუნველყოს ტვირთის მარკირება და შეფუთვა ტვირთის სახეობის/სტანდარტების შესაბამისად, გადამზიდავზე ტვირთის სათანადო გადაცემა. ტვირთის მარკირება განახორციელოს იმგვარად, რომ აღნიშვნები გარკვევით ჩანდეს ტვირთის მიტანამდე, რათა ხელი შეუწყოს ტვირთის სათანადო დამუშავებას. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ძველი აღნიშვნები შეფუთვაზე უნდა მოშორდეს ან სხვაგვარად აშკარა გახდეს მათი მოქმედების ვადის გასვლა.

4.7. შეასრულოს ექსპორტიორი/იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ტვირთის საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა.

4.8. დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს ექსპედიტორისადმი წარდგენილი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთთან, მის გადაზიდვასთან, საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებებთან ასევე სხვა მოთხოვნები, რომლებიც ექსპედიტორს წარედგინა როგორც ტვირთის მესაკუთრის აგენტს, გადაზიდვის ორგანზატორს, გადამზიდავს და რომელთა დაკმაყოფილების ვალდებულება ექსპედიტორს არ გააჩნია.

4.9. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს ექსპედიტორს, გენერალური პირობებით, შეკვეთა/დავალებით და წერილობითი ინსტრუქციებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაში.

4.10. ექსპდიტორის მიერ შემკვეთის სახელით, იურიდიულ უფლებამოსილებათა განხორციელების შემთხვევაში, გასცეს ექსპედიტორზე სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა.

5. შემკვეთი უფლებამოსილია:

5.1. მიიღოს შესრულება ექსპედიტორისაგან, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული დავალებისა ინსტრუქციების შესაბამისად;

5.2. მოითხოვოს და მიიღოს ექსპედიტორისაგან ვალდებულების შესრულებასა და გადაზიდვის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

5.3. ისარგებლოს წინამდებარე გენერალური პირობებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი თვირთის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის სხვა უფლებებით.

6. შეკვეთა/ დავალება, ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა;

6.1. სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა უფლება-მოვალეობების ჯეროვნად განხორციელების მიზნებისათვის, **„ხელშეკრულება სატრანსპორტო ექპედიციის შესახებ“** და წინამდებარე **„გენერალური პირობები“** - წარმოადგენს მხარეთა **ზოგად შეთანხმებას.** ხოლო **შეკვეთა / დავალება** და წერილობითი დამატება არსებულ **სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებაზე,** წარმოადგენს - **სპეციალურ შეთანხმებას.** კონკრეტული დავალების შესრულების პროცესში, **ზოგად** და **სპეციალურ შეთანხმებებს** შორის კოლიზიის შემთხვევაში, **სპეციალურ შეთანხმებაში** მითითებულ პირობებს გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა.

6.2. შემკვეთის ნებისმიერი ინსტრუქცია და შეტყობინება სავალდებულოა შესასრულებლად **ექსპედიტორისათვის** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაგზავნილია წერილობით, მხარეთა რეკვიზიტებში მითითებულ **ექსპედიტორის** ელექტრონულ ფოსტაზე, **შემკვეთის** ელექტრონული ფოსტიდან **შემკვეთის** მიერ დამოწმებული **შეკვეთა/დავალების** ცვლილება და/ან შესწორება, წარმოადგენს დამატებას გაცემულ **შეკვეთა/დავალებაზე** და იგი უნდა გაფორმდეს იგივე წესით, როგორც საწყისი **შეკვეთა/დავალება.** დავალებათა კოლიზიის შემთხვევაში, ექსპედიტორისათვის შესასრულებლად სავალდებულოს მიიჩნევა ქრონოლოგიურად, უფრო ახალი (ბოლო) დავალება.

6.3. დავალება ითვლება წერილობით გაცემულად, თუ წერილობით დოკუმენტი მიმღებზე მიწოდებულია, ელექტრონული ფოსტის და/ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით, სატალეფონო შეტყობინების (სმს, ჩატი) ჩათვლით, თუ შესაძლებელია ინფორმაციის და მისი გამგზავნის იდენტიფიცირება. წერილობითი ინფორმაციის (დავალების და/ან მასზე პასუხის) მიწოდების მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელიც მიუთითებს მეორე მხარისათვის ასეთი ინფორმაციის გადაცემაზე.

6.4. შემკვეთმა წერილობით **შეკვეთა/დავალებაში** სრულყოფილად უნდა მიუთითოს მისი რეკვიზიტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. მათ შორის ტვირთის განსაკუთრებული თვისებები, საფრთხის სახეობა და მისი არიდების პრევენციული ღონისძიება. ასევე, ტვირთის უდანაკარგოდ გადაზიდვისათვის საჭირო სხვა დამატებითი ინსტრუქცია, რაც არ არის გათვალისწინებული დავალების რეკვიზიტებით, მაგრამ მნიშვნელოვნია კონკრეტული გადაზიდვის ჯეროვნად განხორციელების მიზნებისათვის.

6.5. გადაზიდვის პროცესში ტვირთის დაზიანებაზე დავის შემთხვევში, **შეკვეთა/დავალებაში** და შეტყობინებებში მითითებული მონაცემები წარმოადგენს ექსპედიტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველს, თუ იგი დაადასტურებს, რომ გადაზიდვის ორგანიზება განხორციელებული იყო დავალებაში და/ან დაზუსტებულ დავალებაში მითითებული ინსტრუქციების შესაბამისად.

6.6. ექსპედიტორი არ არის ვალდებული გადაამოწმოს, შეავსოს ან თავად დაადგინოს, შემკვეთის მიერ **შეკვეთა/დავალებასა** და შემდგომ ინსტრუქციებში, გამოტოვებული ინფორმაცია, მათ შორის . ტვირთის ხასიათი და გადაზიდვის ორგანიზაციის სხვა დეტალები.

6.7. ექსპედიტორი არ არის ვალდებული შეამოწმოს ტვირთთან და კონკრეტული დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეტყობინებაზე ან დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერების ნამდვილობა და ხელმომწერი პირის უფლებამოსილება, თუ შეტყობინება და დოკუმენტი მიღებულია, ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტებიდან, ასევე პირისაგან, რომელმაც უშუალოდ ჩააბარა გადასაზიდი ტვირთი ექსპედიტორს ან დაამოწმა თავდაპირველი დავალება.

6.8. შეკვეთა/დავალება და სხვა ინსტრუქცია ექსპედიტორისათვის მოქმედებს შემკვეთის მიერ მათ გაუქმებამდე. თუ ინსტრუქცია არასრული ან არაგონივრულია, ექსპედიტორი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს თავისი პროფესიული კომპეტენციის და ტვირთის უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით. იგი თავისუფლდება დავალების შეცვლით გამოწვეული პასუხისმგებლობიდან თუ ტვირთი უდანაკარგოდ იქნა ჩაბარებული მიმღებზე. ამასთან ექსპედიტორი ინარჩუნებს ყველა დამატებით გაწეული ხარჯის კომპენისრების უფლებას.

7. მომსახურების ფასი და მათი ანაზღაურების წესი

7.1. გაწეული მომსახურების საზღაური **(პროვიზია)** და/ან **„გენერალური პირობების“ მე-8 მუხლით** დადგენილი, **შეკვეთა/დავალების** შესრულების პროცესში, ტვირთის უდანაკარგოდ გადაზიდვის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა საჭირო ხარჯი **(დამატებითი ხარჯი),** ანაზღაურდება **შემკვეთის** და/ან **შეკვეთა/დავალებაში** მითითებული პირის მიერ, **ექსპედიტორის** წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, კონკრეტული დავალების ფარგლებში შეთანხმებული ტარიფებისა და განაკვეთების, ასევე **დამატებითი ხარჯების** წერილობითი დასაბუთების საფუძველზე.

7.2. ანგარიშსწორება გახორციელდება მიწოდების ადგილზე ტვირთის გამოცხადების შემდეგ, მის გადმოტვირთვამდე და/ან მიმღებზე მის ჩაბარებამდე, უნაღდო ანგარიშსწორებით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ, ექსპედიტორის საბანკო ანგარიშზე. მხარეთა შორის ნებისმიერი ანგარიშსწორებისას საბანკო მომსახურების ხარჯები ეკისრება გადამხდელს.

7.3. შემკვეთის მიერ ანგარიშსწორების ვალდებულების დარღვევის/დაგვიანების შეთხვევაში ექსპედიტორი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევა, ასეთი შეჩერებით შემკვეთისათვის მიყენებული ზიანზე პასუხისმგებლობის გარეშე. თავად **შემკვეთი** ვალდებულია აუნაზღაუროს ექსპედიტორს მომსახურების შეჩერებასთან დაკავშირებით და/ ან მომსახურების შეჩერების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი დამატებითი ხარჯი და ზიანი.

7.4. ექსპედიტორსა და **შემკვეთს** შორის, არაერთჯერადი ურთიერთობის შემთხვევაში, **მხარეები** შესაძლებელია წერილობით შეთანხმდნენ ყოველი ცალკეული მომსახურეობის საფასურის გადახდის გადავადებაზე (შემდგომში - **„გადახდის გადავადება“)** წინასწარ შეთანხმებული **„საკრედიტო ლიმიტი“** - ს ფარგლებში.

7.4. კონკრეტული დავალების ფარგლებში, მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ ანგარიშსწორების და ან მისი უზრუნველყოფის განსხვავებულ წესზე, (ავანსი, დეპოზიტი, საბანკო გარანტი და სხვა) ასეთი შეთანხმება ფორმდება წერილობით.

8. დამატებითი ხარჯების ანაზღაურება

8.1. შემკვეთი უნაზღაურებს ექსპედიტორს იმ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა ექსპედიტორის და/ან გადამზიდავის მიერ, კონკრეტული **შეკვეთა/დავალების** ფარგლებში. ამ ხარჯების დაფარვა განხორციელდება მათი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში.

8.2. ხელშეკრულების 8.1. პ/ში მითითებულ ხარჯებთან ერთად, **შემკვეთი** ვალდებულია დაფაროს:

8.2.1. ექსპედიტორის ყველა დანაკარგი, ზიანი, ოფიციალური მოსაკრებელი ან სხვა ხარჯი, ნებისმიერი პირის სასარგებლოდ, რომლის მიმართაც ექსპედიტორს წარმოეშვა პასუხისმგებლობა: შემკვეთის, ტვირთგამომგზავნის და/ან ტვირთმიმღების მიზეზით, გამოწვეული, ექსპედიტორისათვის არასათანადო დავალების, არასრულად ინფორმირების, ტვირთის შეფუთვის, დამაგრების და ჩატვირთვის წესების დარღვევის და/ან სატვირთო, სატრანსპორტო და საბაჟო დოკუმენტებში დაშვებული ხარვეზის შედეგად, რომელმაც გამოიწვია სატვირთო ოპერაციების დაყოვნება./მოცდენა მესამე პირთა ტვირთის დაზიანება და/ან ექსპედიტორის სხვაგვარი პასუხისმგებლობა.

8.2.2. გაუთვალისწინებელ გარემოებებში, გადაზიდვის უდანაკარგოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპედიტორის მიერ გაწეული ყველა დამატებითი ხარჯი, მათ შორის ტრანსპორტირების მარშრუტზე, შუალედურ პორტებში ტერმინალებში ტვირთის შემოწმების შემთხვევაში დაკისრებული გადასახადები და/ან ჯარიმები, კონტეინერის შემოწმების/ინსპექტირების დაცლა-დატვირთვის, გადაფუთვის და მარკირების ხარჯები, კონტეინერის დაზიანების უზრუნველსაყოფად, საზღვაო ხაზის მიერ მოთხოვნილი დეპოზიტი და სხვა ობიექტური ხარჯი, რომელიც არ არის გამოწვეული ექპსედიტორის ბრალეულობით.

9. მოთხოვნის უზრუნველყოფა

9.1. ყველა თანხა, რომელიც ეკუთვნის ექსპედიტორს და დაკავშირებულია გადაზდივის ორგანიზებასთან/ტვირთის მიწოდებასთან, შემკვეთის მიერ ანაზღაურდება სრულად, ყოველგვარი ფასდაკლების, გამოქვითვის, ანგარიშების შემცირების, ყოველგვარი გადაანგარიშების, პრეტენზიაზე, კონტრპრეტენზიაზე და გადავადებაზე მითითების გარეშე.

9.2. მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ექსპედიტორს, ნებისმიერ დროს, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, გააჩნია გირავნობის უფლება, შემკვეთის მიერ მისთვის ჩაბარებულ ტვირთსა და მის თანმხლებ დოკუმენტებზე. უზრუნველყოფას ექვემდებარება ნებისმიერ თანხა, რომელიც ეკუთვნის ექსპედიტორს შემკვეთისაგან: გადაზიდვის, დასაწყობების და შენახვის ხარჯების, ექსპედიტორის მიერ გაწეული ყველა **დამატებითი ხარჯის**, მთ შორის ექსპედიტორის მოთხოვნების კომპენსირების მიზნით სამართალწარმოების და იურიდიული მომსახურეობის ხარჯი.

9.3. **შემკვეთის** მიერ **ექსპედიტორისათვის** განკუთვნილი თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში, ასეთზე **შემკვეთის** წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ექსპედიტორი უფლებამოსილია: დამოუკიდებლად მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული ქონების საჯარო რეალიზაცია სამართლიან საბაზრო ფასად, ნებისმიერი, მისთვის მოსახერხებელი ფორმით და განსაზღვროს ასეთი რეალიზაციის პირობები. დაგეგმილი რეალიზაციის შესახებ შეატყობინებს შემკვეთს, რეალიზაციის თარიღამდე არანაკლებ 5(ხუთი) კალენდარული დღით ადრე. ასეთი რეალიზაციიდან შემოსული თანხა, ექსპედიტორის მოთხოვნების და რეალიზაციის დანახარჯების გამოკლებით გადაეცემა შემკვეთს.

10. დაზღვევა

10.1. ტვირთის დაზღვევა

10.1.1. მხარეთა შეთანხმებით, ექსპედიტორი ტვირთის დაზღვევას ახდენს, მხოლოდ ასეთზე შემკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში რაც აისახება დავალებაში.

10.1.2. ტვირთის დაზღვევაზე დავალების შემთხვევაში, ექსპედიტორი უზრუნველყოფს ტვირთის დაზღვევას გადაზიდვის დაწყებამდე, მის მიერ არჩეულ მზღვეველთან. თუ ექსპედიტორი ვერ ახერხებს ტვირთის დაზღვევას ტვირთის თვისებების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, ის ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს.

10.1.3. ექსპედიტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს დაზღვევის პირობებს და იხდის სადაზღვევო პრემიას ჩვეულებრივი საბაზრო ნიხრით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემკვეთი მას მისცემს სხვაგვარ წერილობით მითითებას სადაზღვევო თანხებსა და რისკებთან დაკავშირებით, ან თუ შეკვეთის ფორმაში მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან აღნიშნულ საკითხზე.

10.1.4. ტვირთის დაზღვევის გაფორმებამდე, შემკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპედიტორი წარუდგენს მას ინფორმაციას ტვირთის დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით. შემკვეთის მითითებები აისახება დაზღვევის პოლისში.

10.1.5. ტვირთის დაზღვევა ხორციელდება ექსპედიტორის მიერ, თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე. ამასთან, შემკვეთი სადაზღვევო პოლისში მიეთითება, როგორც მოსარგებლზე (ბენეფიციარი).

10.2. ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა

10.2.1. ექსპედიტორი უზრუნველყოფს შემკვეთის ხარჯზე საკუთარი პასუხისმგებლობის და იმ ზიანის დაზღვევას, რომელიც დავალების შესრულების პროცესში შეიძლება მიადგეს შემკვეთს, ექსპედიტორის მოქმედებით/უმოქმედობით, თუ შემკვეთი აშკარად არ გამოთქვამს წერილობით უარს ასეთ დაზღვევაზე.

10.2.2. დაზღვევა ხორციელდება სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო გამონაკლისებისა და პირობების გათვალისწინებით. ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისში, ბენეფიციარად მიეთითება ექსპედიტორი.

10.2.3. თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული წერილობით, ექსპედიტორს არ გააჩნია ვალდებულება თითოეული **შეკვეთა/დავალების** ცალკე დაზღვევაზე. ექსპედიტორს შეუძლია განაცხადოს, რომ დაზღვევა განხორციელებულია ღია ან გენერალური პოლისით.

10.2.4. შემკვეთი უფლებამოსილია თავად მოახდინოს სადაზღვეო კომპანიის შეტყობინება, ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, მზღვეველის მიერ დადგენილი წესის დაცვით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ზოგადი დებულებები:

11.1.1. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დააყოვნოს საკუთარი დამდგარი ვალდებულების შესრულება, მეორე მხარის მხრიდან წინმსწრებად შესასრულებელ ვალდებულებათა შესრულებამდე. ასეთი დაყოვნება მხარეს არ ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად და შესაბამისი ვალდებულების შესრულება გადაიწევს წინმსწრებად შესასრულებელ ვალდებულებათა შესრულებამდე ვადით.

11.1.2. „გენერალური პირობები“ -ს ფარგლებში წარმოქმნილ ნებისმიერ ფულად მოთხოვნაზე, მოთხოვნის დოკუმენტით გათვალისწინებული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს (კრედიტორს) უფლება აქვს მეორე მხარეს(მოვალეს) მოთხოვოს, ხოლო მეორე მხარე(მოვალე) ვალდებულია გადაიხადოს **პირგასამტეხლო** ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, გადასახდელი თანხის 0.01 %-ის ოდენობით, მოთხოვნის ფაქტობრივად დაფარვამდე.

11.2. ექსპედიტორის პასუხისმგებლობა

11.2.1. ექსპედიტორს პასუხისმგებლობა ეკისრება მისი/საკუთარი პერსონალის ბრალეულობით (განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით) დამდგარ ზიანზე.

11.2.2. ექსპედიტორის პასუხისმგებლობა, მის მიერ მოწვეული **დამხმარე** პირების მოქმედება/ უმოქმედობით დამდგარ ზიანზე, რეგულირდება შემდეგი წესით:

A. **„არა პრინციპალი/აგენტი - ექსპედიტორი“**-ს ფუნქციის შესრულების შემთხვევაში, ექსპედიტორი პასუხისმგებელია: **დამხმარის** - გადაზიდვის ორგანიზებაში ჩართული ნებისმიერი **მესამე პირის** არაკეთილსინდისიერი შერჩევის, მასზე არასწორი დავალების გაცემის, ასევე გადაცემულ დოკუმენტებში შეცდომის შედეგად დამდგარ ზიანზე. **„არა პრინციპალი/აგენტი - ექსპედიტორი“**-ს მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევაში, **შემკვეთის** და/ან ტვირთის ნებისმიერ ზიანზე პასუხისმგებელია უშუალოდ **დამხმარე.**

B. **„პრინციპალი ექსპედიტორი“**-ს ფუნქციის შესრულების შემთხვევაში, ამ მუხლის „ა“ ქვ/თ გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, **ექსპედიტორი** სრულად არის პასუხისმგებელი **დამხმარის** მოქმედება/უმოქმედობით დამდგარ ზიანზე როდესაც:

ბ.1 მან საკუთარ თავზე აიღო ტვირთის ჩატვირთვის ადგილიდან, მისი მიწოდების ადგილამდე გადაზიდვის ვალდებულება, როგორც ფაქტობრივმა და/ან ხელშეკრულებით გადამზიდავმა. ანუ, როდესაც იგი სატრანსპორტო დოკუმენტებში, (**„საშინაო კონოსამენტი“** (HBL) მითითებულია, როგორც გადამზიდავი.

b.2 ექსპედიტორის პასუხისმგებლობა დამხმარესთან დაკავშირებით პირდაპირ არის მითითებული შეკვეთა/დავალებაში.

b.3. **დამხმარე**-სთან სამართალ ურთიერთობაში საკუთარი სახელით აფორმებს ხელშეკრულებებს, მათ შორის ხელშეკრულებას ფაქტობრივ გადამზიდავთან.

11.2.3. ექსპედიტორი პასუხისმგებელია საბაჟო წესების დარღვევაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც საბაჟო პროცედურების შესრულება მას პირდაპირ ევალებოდა შეკვეთა/დავალების საფუძველზე და თუ იგი მოქმედებდა ბრალეულად (განზრახვა/უხეში გაუფრთხილებლობა).

11.2.4. დამდგარ ზიანზე ექსპედიტორის პასუხისმგებლობის შემთხვევაში, ექსპედიტორი ანაზღაურებს, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფარგლებში, დამდგარ ფაქტობრივ ქონებრივ დანაკლისს (ზიანს). ნებისმიერ ზიანზე ექსპედიტორის პასუხისმგებლობა შეზღუდულია: დატვირთვის ადგილზე ტვირთის საინვოისო ღირებულებით და პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ პოლისით განსაზღვრული ზღვრული ოდენობით.

11.2.5. ტვირთის დაზიანების და ამ დაზიანების გამომწვევი შესაძლო მიზეზების და ზიანის ოდენობის დადგენა უნდა განხორციელდეს, სათანადო კომპეტენციის მქონე, დამოუკიდებელი შემფასებლის (სურვეიერის) ინსპექტირების აქტით.

11.3. ექსპედიტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა

11.3.1. ექსპედიტორი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან:

A. შემკვეთის მიერ დავალებაში დაშვებულ შეცდომებზე, ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინფრორმირების მოთხოვნების დარღვევით, ან/და არასწორი/არასრულყოფილი ინსტრუქციებით დამდგარ ზიანზე;

B. შემკვეთის და/ან ტვირთგამომგზავნის, მისი პერსონალის/მის მიერ მოწვეული მესამე პირების მიერ, ტვირთზე ნებისმიერი სამუშაოს შესრულებით (დატვირთვა, ტვირთის დამაგრება, შეფუთვა/მარკირების დარღვევა, გადმოტვირთვის ჩათვლით) დამდგარ ზიანზე.

C. ძვირფას ან საფრთხის შემცველ ტვირთზე თუ ექსპედიტორს ამის შესახებ არ ეცნობა გადასაზიდად ტვირთის მიღების დროს.

D. ტვირთის მომეტებულ მგრძნობელობაზე და გაუარესებისკენ ტვირთის მიდრეკილებაზე (ადვილად ლპობა, სიცივისადმი, სითბოსადმი, სინესტისადმი ტვირთის მგრძნობელობა და ა.შ) თუ შემკვეთმა არ აცნობა ექსპედიტორს ტვირთის ამ მახასიათებელების შესახებ.

E. ტვირთის ფარული დაზიანებებით გამოწვეულ ზიანზე, შემკვეთის ან ტვირთგამგზავნის მიერ, ტვირთის გადასაზიდად მომზადების და ტვირთის ხასიათის შესაბამისი შეფუთვის/მარკირების სტანდარტების დაუცველობაზე.

F. ტვირთის, არასათანადო ჩატვირთვით, შეფუთვით და ტვირთის მარკირების/იდენტიფიკაციის წესის დარღვევით და სატვირთო მოდულში/კონტეინერში არასათანადო დამაგრებით.

G. მესამე პირების და დამხმარეების მოქმედებებსა და უმოქმედობაზე, თუ ექსპედიტორმა გამოავლინა სათანადო მცდელობა და პასუხისმგებლობა ასეთი პირების კეთილსინდისიერი შერჩევის მათზე დავალების გაცემის და გაცემული დავალების შესრულების კონტროლის დროს.

H. შემკვეთის წერილობითი დავალებასა და ინსტრუქციებში მითითებულ მონაცემთა ჯეროვნად განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანზე.

11.3.2. ექსპედიტორის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე მითითების შემთხვევში, შემკვეთს ეკისრება გამომრიცხავი გარემოების გაბათილების მტკიცების ტვირთი. ასეთის გაბათილებამდე, ექსპედიტორს არ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა, ნებისმიერ დამდგარ ზიანზე.

11.4. შემკვეთის პასუხისმგებლობა

11.4.1. შემკვეთს ეკისრება პასუხისმგებლობა მისი მიზეზით მომხდარ ნებისმიერ მოცდენაზე. ასეთად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ უზრუნველყოფს:

b.1. ტვირთის ჩატვირთვას/გადმოტვირთვას, ასეთზე ექსპედიტორის შეტყობინებიდან, 48 საათის განმავლობაში;

b.2. დატვირთული ტრანსპორტის სატრანსპორტო მოდულის მოცდენას/ ტრანსპორტირების დაწყების დაყოვნებას, ნებისმიერი მიზეზით.

11.4.2. შემკვეთი უნაზღაურებს ექსპედიტორს იმ ფაქტობრივ ხარჯებს, რომელიც გასწია ექსპედიტორმა:

A. **შეკვეთა/დავალების** შესრულების პროცესში, შემკვეთის მიერ მისი ვადამდე გაუქმებით;

B. შემკვეთის მიერ „გენერალური პირობებით“ დადგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევით

C. დამატებით ხარჯებს, რომელიც ექსპედიტორმა გასწია გადაზიდვის შესასრულებლად შემკვეთის თანხმობით ან თანხმობის გარეშე (ნაგულისხმევი თანხმობით), ტვირთის და გაზიდვის მიზნებიდან გამომდინარე თუ შემკვეთთან დაკავშირება შეუძლებელი იყო, ან არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა, ტვირთის შენარჩუნების და გადაზიდვის უდანაკარგოდ დასრულების მიზნით.

11.4.3. თუ ტვირთი საფრთხეს უქმნის, მასთან ერთად მყოფ სხვა ტვირთის, ქონებას, გარემოს ან ადამიანებს ან შეიცავს პოტენციური საფრთხის წყაროს, ექსპედიტორი უფლებამოსილია იმოქმედოს და მოეპყროს ტვირთს ისე, რომ შეამციროს ან აღმოფხვრას ზემოაღნიშნული რისკები, შემკვეთის ხარჯზე. აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ შემკვეთი არ მიაწვდის ექსპედიტორს ინფორმაციას, ტვირთის ზემოაღნიშნული თვისებების შესახებ გადაზიდვის დაწყებამდე. ამ მუხლით დადგენილ შემთხვევებში ექსპედიტორი უფლებამოსილია განახორციელოს მოქმედი სამართლით ნებადართული ნებისმიერი ქმედება, საკუთარი და მესამე პირთა ზიანისაგან დაცვის მიზნით, რაც აღ ჩაითვლება ექსპედიტორის ვალდებულებათა დარღვევად.

11.4.4. შემკვეთი პასუხისმგებელია ექსპედიტორის წინააღმდეგ წარდგენილ ნებისმიერ პრეტენზიაზე, სარჩელზე, ნებისმიერ პირგასამტეხლოსა და ზიანზე, რომელიც დაეკისრება ექსპედიტორს, შემკვეთის მიერ ამ „გენერალური პირობები“ -ს და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამო ან/და შემკვეთის აგენტებისა და ტვირთის მიმღების ქმედების/უმოქმედობის შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი, ინფორმირებული იქნება აღნიშნულ პრეტენზიების/სარჩელების შესახებ და მას მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ასეთ დავაში.

11.4.5. მხარეები უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ **„გადახდის გადავადების“** პერიოდი, რომლის გადაცილების შემთხვევაშიც ექსპედიტორი უფლებამოსილია დააკისროს შემკვეთს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, „გენერალური პირობები“ 11.1.2. პ/ით დადგენილი წესით.

12. ტვირთის მიღება /ჩაბარება

12.1. „არაპრინციპალი/აგენტი ექსპედიტორის“ ფუნქციის შესრულების შემთხვევაში, შეკვეთა/ დავალებაში მითითებულ დატვირთვის ადგილზე ტვირთის გადაცემა, ექსპედიტორის მითითებულ გადამზიდავზე და ამ უკანასკნელის მიერ სატრანსპორტო ზედნადების გაფორმების შემდგომ, ტვირთი ჩაითვლება გადამზიდავზე ჩაბარებულად და გადაზიდვის ხელშეკრულება გაფორმებულად. .გადამზიდავზე ტვირთის ჩამბარებელი უფლებამოსილია მიიღოს სატრანსპორტო ზედნადების ეგზემპლიარი. ასეთ შემთხვევაში, უერთიერთობა რეგულირდება შესაბამისი სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვის წესებით, უშუალოდ სატრანსპორტო ზედნადებში მითითებულ მხარეებს შორის. გარდა **„გენერალური პირობების“ 11.2.2. პ/ით** გათვალისწინებული შემთხვევისა,

12.2. **„პრინციპალი ექსპედიტორის“** ფუნქციის შესრულების შემთხვევაში, შეკვეთა/დავალებაში მითითებულ დატვირთვის ადგილზე ტვირთის გადაცემა ექსპედიტორზე და მის მიერ სატრანსპორტო ზედნადების გაფორმება, ჩაითვლება ტვირთის გადამზიდავზე ჩაბარებად და გადაზიდვის ხელშეკრულების გაფორმებად. ტვირთის ჩამბარებელი უფლებამოსილია მიიღოს სატრანსპორტო ზედნადების ეგზემპლიარი. ასეთ შემთხვევაში, უერთიერთობა რეგულირდება შესაბამისი სახეობის ტრანსპორტით გადაზიდვის წესებით, სატრანსპორტო ზედნადებში მითითებულ ტვირთის გამგზავნსა და ექსპედიტორს შორის.

12.2. თუ მიმღები მიიღებს ტვირთს ისე, რომ მის მდგომარეობას არ ამოწმებს გადამზიდველთან ერთად და არ უყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა ზედნადებში

მითითებულ მდგომარეობაში; აღნიშნული პრეტენზია უნდა აღინიშნოს ზედნადებში და წარედგინოს ექსპედიტორს ტვირთის ჩაბარების დღესვე, თუ საქმე ეხება გარეგნულად შესამჩნევ დანაკარგებსა და დაზიანებებს, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანებების შემთხვევაში - ჩაბარებიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა. თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს, პრეტენზია (მოთხოვნა) უნდა წარედგინოს წერილობით.

12.3. თუ შეუძლებელია ტვირთის მდგომარეობის შემოწმება მხარეების თანდასწრებით, მაშინ, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ტვირთის მიღება ჩაითვლება იმის დასტურად, რომ ტვირთი მიღებულ იქნა დანაკლისისა და დაზიანების გარეშე.

13. პრეტენზიები

13.1. შემკვეთის ნებისმიერი პრეტენზია, ექსპედიტორის კონკრეტული ვალდებულების, პოტენციური დარღვევის შესახებ, წარედგინება წერილობით, 5 (სამუშაო) დღის ვადაში, ტვირთის მიწოდების ან სხვა მომსახურეობის გაწევის თარიღიდან. პრეტენზიას თან უნდა ერთოდეს პრეტენზიის საგანის გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები.

13.2. პრეტენზიები განიხილება მხოლოდ, **შემკვეთის** მიერ, **ექსპედიტორი**-სათვის განკუთვნილი ყველა თანხის ანაზღაურების შემდგომ.

13.3. ექსპედიტორი უფლებამოსილია არ მიიღოს/არ განიხილოს, პროცედურის დარღვევით წარდგენილი **შემკვეთის** პრეტენზია.

13.4. ექსპედიტორი განიხილავს **შემკვეთის** პრეტენზიას 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, რომლის შემდგომ დასაბუთებული წერილობითი პასუხით **შემკვეთს** ეცნობება, პრეტენზიის დაკმაყოფილების ან მისი უარყოფის შესახებ

13.5. გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებებზე, ხანდაზმულობის ვადა არის ერთი. წელი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, ეს ვადა შეადგენს სამ წელს. ხანდაზმულობის ვადების ამოწურვის შემდგომ ექსპედიტორისადმი ნებისმიერი მოთხოვნა უქმდება.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულე-ბების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით.

14.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემეობა“ ნიშნავს მხარეთა ნებისა და კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომელიც წარმოიშვა წინამდებარე დოკუმენტის ამოქმედებამდე და რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობებისა.

14.3. დაუძლეველი ძალის გარემეობას მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება გარემოებები, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაციით ICC Publication № 421 (E)

14.4. მხარემ, რომლის ვალდებულების შესრულებაზეც მოქმედებს დაუძლეველი ძალის გარემოება, ობიექტურად მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ, მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადის და შედეგების მითითებით. ასევე, მიაწოდოს მხარეს, დამამტკიცებელი საბუთი.

14.5. დაუძლეველი ძალის გარემოების გამო წინამდებარე დოკუმენტის შესრულების ვადა გადაიწევს იმ დროის თანაზომიერად, რომლის განმავლობაშიც გრძელდება ეს გარემოებები. თუ ეს გარემოებები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, ორივე მხარეს აქვს უფლება გააუქმოს მათ შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობა, მეორე მხარეზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან ერთი კვირის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, ექსპედიტორს აუნაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯი, ხოლო ტვირთი უბრუნდება შემკვეთს, გადამზიდავისათვის მისაღებ, უსაფრთხო ადგილას. ამასთან, არც ერთ მხარეს არ ექნება მოთხოვნა დანაკარგების ანაზღაურებაზე.

15. საერთო ავარია

15.1. შემკვეთი უნაზღაურებს ექსპედიტორს მის მიმართ წარდგენილი ნებისმიერი პრეტენზიის ხარჯებს საერთო ავარიასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს ექსპედიტორს ისეთი გარანტიით, რაც შესაძლებელია მან მოითხოვოს აღნიშნულთან დაკავშირებით.

15.2. წინამდებარე **„გენერალური პირობები“**-თ გათვალისწინებული გადაზიდვისას საერთო ავარიის ხარჯების მიმართ გამოიყენება იორკ ანტვერპენის წესები (1994 წ. რედაქცია)

16. დავათა გადაწყვეტა.

16.1. გენერალური პირობებიდან / სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი ქონებრივი დავა/ უთანხმოება გადაწყდება მხარეთა მედიაციით. მედიტორი ინიშნება მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ერთიანი რეესტრიდან[4]. მედიატორის კანდიდატურაზე მხარეთა შეუთანხმებლობის და/ან დანიშნული მედიატორის მხრიდან მედიაციაზე უარის შემთხვევში, ახალი მედიატორი ინიშნება სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ, ერთრთი მხარის მიმართვის საფუძველზე,

16.2. მედიაციის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერი ქონებრივი დავა, არსებითად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა, აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო არბიტრაჟს (ს/კ 445384959). დავას განიხილავს „არბიტრაჟის დებულების“ მიხედვით დანიშნული ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, „არბიტრაჟის დებულების“ შესაბამისად.

არბიტრაჟის ჩატარების ადგილია: ქ. ბათუმი ახმედ მელაშვილის #27 აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ადმინისტრაციული ოფისი.

16.3. გამოსაყენებელი სამართალი: საქართველოს სამართალი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტრანსპორტის სახეობებით საერთაშორისო: სახმელეთო, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და კონტეინერებით გადაზიდვების მარეგულირებელ საერთაშორისო მრავალმხრივ ხელშეკრულებებს/ კონვენციებს, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დავის ფაქტობრივად დაწყების დროისათვის.

[4] საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ერთიანი რეესტრი.
https://mediators.ge/ka/mediators/all/worldwide/all/all/0/1/

17. დამატებითი დებულებები

17.1. შემკვეთსა და ექსპედიტორს შორის ხელშეკრულება იდება წერილობით, რომელიც გულისხმობს შემკვეთის მიერთებას **გენერალურ პირობებზე.** კონკრეტული **შეკვეთა/დავალების** ფარგლებში, **გენერალური პირობები**-საგან განსხვავებულ პირობებზე შეთანხმების შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმდება წერილობითი **დამატება,** კონკრეტულად ამ პირობების მითითებით. სატრანსპორტო ექსპედიციის დანარჩენი საკითხები, დარეგულირდება **გენერალურ პირობებით.**

17.2. სატრანსპორტო ექსპედიციის მომსახურების გენერალური პირობებში ინკორპორირებულია „სატრანსპორტო საექსპედიციო საქმიანობის FIATA-ს ტიპური წესები"-თ, (FIATA-ს წესები) 2019წ. რედაქცია.

17.3. საქონლის მიწოდების პირობები (Incoterms) იურიდიული ძალისაა ხელშეკრულებისთვის რომელიც გაფორმებულია საქონლის მყიდველსა და გამყიდველს შორის. ამ პირობებს არ გააჩნია კავშირი წინამდებარე **გენერალური პირობებთან, სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულებასთან, ასევე** ექსპედიტორსა და გადამზიდავს შორის ხელშეკრულებასთან.

17.4. სატრანსპორტო ექსპედიციის მომსახურების გენერალური პირობების, რომელიმე დებულების გაუქმება ან ძალადაკარგულად მიჩნევა, ვერ იქონიებს გავლენას მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის როგორც მთლიანის და მისი სხვა დებულებების იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე. მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში შეიტანილი იქნება ცვლილებები ძალადაკარგული დებულების მსგავსი შინაარსისა და იურიდიული ძალის მქონე სხვა დებულებით ჩანაცვლების მიზნით;

17.4. ყველა შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუ ის გაიგზავნა ელექტრონული ფოსტით მხარის **შეკვეთა /დავალებაში** მითითებულ რეკვიზიტებზე. ჩაბარების თარიღად მიიჩნევა, შეტყობინების გაგზავნის თარიღი. „მხარე", რომელმაც შეიცვალა **შეკვეთა /დავალებაში** მითითებული რეკვიზიტები ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე „მხარეს". მისამართის ცვლილების შეუტყობინებლობის შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.